

№ 14 (1288) 03 ოქტომბერი 1968

# საქსი

გამოცემის 45-ე წელიწადი 20 კპ.

— რომ მთვარე, ივლირეული ბინა  
მინდომ, ახასტე ასე თხოვდა- მისი ცო-  
ლი და ხომ ხელავ, რა დღეშია?

საქართველო  
ბიბლიოთეკა

ნ.ბ. ნ. მალაგონიანი





დიდ ქართველ ენათმეცნიერს — აკადემიკოს არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავას დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის 45 წლისთავი შეუსრულდა.

### ნიანგი — არნოლდ ჩიქობავას

რთულ იუბილეს გილოცავთ მარტივი წინადადებით: თქვენ დიდი მოქალაქე ხართ! დიდი ქართველი ბრძანდებით!

გილოცავთ ძვირფას პედაგოგს, დიდებულ ენათმეცნიერს! ვაშა თქვენს ოქრონაშრომებს... უნივერსალურ ლექციებს!..

ასი წლისთავზეც ასე მხნედ ჰყოლოდეთ უნივერსიტეტს! ვაშა მის პირველ დოქტორანტს, თქვენ, მის ღვაწლმოსილ მესიტყვეს!

ჩვენს მწერლობაზე ზრუნვისთვის ყველგან, ყოველთვის იცლიდით, — სწორუბოვარო დამცველო ქართული ენის სიწმინდის!

საჩუქრად ჟურნალ „ნიანგის“ აღნიშნულ ნომერს. გიგზავნით. სიტყვა „გიგზავნით“ ზმნა არის, ბ — მისი პირის ნიშანი.

ამჯერად საკმარისია გრამატიკაში ვარჯიში, ოთხმოცი წლის რომ გახდებით, ზმნის უღლებასაც ავიხსნით.

როცა ზეპირად ვისწავლით დიდ „განმარტებით ლექსიკონს“, მაშინ უფრო ვრცლად შეგაქებთ, დღესდღეობით კი ეს იყოს!

დასასრულ, რელატიური ზმნით გვინდა გითხრათ სათქმელი: დიდხანს იცოცხლეთ, იყავით აბსოლუტურად ჯანმრთელი!

# რასტოე ვაგოვით ასე...

## ისეთი აღამიანია, პირდაპირ ჩასაყლაპია.

**იყო** ერთი მოხდენილი, ლამაზი კაცი. მაგრამ, რაც მთავარია, — ძალიან ალალი, უანგარო და სპეტაკი. ვინც მისნაირი არ იყო, მასზე უთითებდნენ: აი, ისეთი უნდა იყო, მაგასავით უნდა მოიქცე და იცხოვრო. მათაც აიღეს და ის კაცი ჩაყლაპეს. მას შემდეგ კარგ და წესიერ აღამიანზე ამბობენ, პირდაპირ ჩასაყლაპიაო.

## თითით საჩვენებელია.

**იყო** ერთი კაცი. ჯერ პურის გამყიდველად მუშაობდა. აწონის დროს სასწორის თეფშს თითს ჩამოჰკრავდა ხოლმე. მერე ხორცს, კარაქს, შაქარს ყიდდა და ყველგან კარგად ხმარობდა თითს.

ის კაცი ისე დააწინაურეს, ისე, რომ ყველას თითს უქნევდა და გახდა თითით საჩვენებელი.

## არც ღვინოა, არც წხალი.

**ძველ** დროში ერთი მიკიტანი ცხოვრობდა. ისეთი უსინდისო ყოფილა, რომ ღვინოში თურმე წყალს ურევდა. მისი მუშტრები ამბობდნენ, არც ღვინოაო. მერე მისმა მემკვიდრეებმა ჰაჭას შაქარი დააყარეს და წყალი დაასხეს. ასეთ ღვინოზე დღეს მყიდველები ამბობენ, არც წყალიაო. აი, რატომ ვამბობთ ყოველგვარ ცუდსა და უვარგისზე, არც ღვინოა, არც წყალი.

## ბურთი და მოედანი მას ღარჩა.

**იყო** ერთი მსაჯი. ისე თვითნებურად და უსამართლოდ მსაჯობდა, მეტი არ შეიძლება. გულშემატკივრებმა იყვირეს,

იჩხავლეს, იჩივლეს, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდათ, აღმოფოთებულემა დატოვეს ტრიბუნები. რამდენიმე ხნის შემდეგ ფეხბურთელებიც გაიქცნენ მოედნიდან და მსაჯს დარჩა მარტო ბურთი და მოედანი. ამის შემდეგ ისეთ პიროვნებაზე, რომელიც თვითონაა მდგომარეობის სრული ბატონ-პატრონი და სხვები ფეხებზე ჰკიდია, ამბობენ ანე.

## არც მწვადი დაწვა, არც შამფური.

**ერთ** სასადილოს რევიზია დაეცა. შეადგინეს აქტი. მიხვდა სასადილოს გამგე, საქმე რომ ეწვებოდა და გაშალა პურ-მარილი, სუფრა სულ სუკის მწვადებით იყო სავსე, მაგრამ რევიზიამ თქვა: ეგ ვის რად უნდა, მწვადის ეგრე დაწვა სად გაგონილა, სუკი ისეთი უნდა იყოს, სულ სისხლი გასდიოდესო. სასადილოს გამგეც ასე მოიქცა — არ დასწვა მწვადი... რევიზიამ კი... აქტი დაწვა.

## შვიდი პარასკევი აქვს კვირაში.

**იყო** ერთი კაცი. აქაო და, ორ დღეს ვისვენებთ კვირაში. პარასკევი შაბათი გახდა, დამოკლდაო და ყოველდღე ადრე მიდიოდა სამსახურიდან. მას ძალიან ბევრი მიმბაძველი გაუჩნდა და ამიტომ ვამბობთ, შვიდი პარასკევი აქვს კვირაშიო.

## წულის ნაყვამა.

**იყო** ერთი კაცი. მან დაიცვა დისერტაცია თემაზე — „წულის ნაყვის ესთეტიკური არსი და მისი დიდი პრაქტიკული როლი ქვესანაყის პრიზმის ასპექტში“. მას შემდეგ იხმარება ეს გამოთქმა.

წურღან ყორღანაშვილი

# სიამარი უკანა შენ!

თავი ვარ, თანაც შვიდთვანი. სწავლაში ბევრ ცხრათვიანს ვგობნიდი. მზრუნველი ნათესავების წყალობით, სკოლაში ზამთარ-ზაფხულ სანდლებით დავდიოდი. საშუალო ისე დავამთავრე, ზამთრის პალტო არ მცმია. განა იმიტომ, რომ არ მინდოდა?.. ერთი სიტყვით, სპორტანულად ვიზრდებოდი. ყურადღებიანი მეზობლებმა დახმარებით, ჯანმრთელი ბავშვი ხშირად იტალიურ დიეტაზე ვიჭექე. მიუხედავად ამისა, ტალივი ბიჭი ვაფიზარდე. ჩემს ბეჭებზე სუფრა გავიშლება. ახლა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ყოველდღიურად რამდენი კაფა ლუდი და რამდენი ულუფა კერძი სჭირდება ჩემს ქორ მუცელს. პატარაობიდანვე იოგების მეთოდით ვვარჯიშობოდი. ამიტომაც ყირას თავისუფლად ვჭიმავ. ვფიქრობ, ძიუ-დოს შემსწავლელ წრეში ჩავება. რა თქმა უნდა, თუ სიმამრმა ხელი არ შემეშალა. მგონი, წელს სამრეწველო საქონლის საქონელთმცოდნეობაზე მაწიფებს. როდესაც სახლში ნასვამი ვბრუნდები, კარგი საქონელი ხარო, მეუბნება. როგორც ჩანს, საქონელთმცოდნე მამზადებს. ცოლი კი ნადირს მეძახის. შემეძლია მონადირეთა კავშირის წევრიც გავხდე, მაგრამ რად გინდა, თოფი არა მაქვს, კიდევ რომ მქონდეს, სროლა არ ვიცი. აფსუს, რა მოხალისე მძლოლის წიგნაი მისუნდება მანქანის უქონლობის გამო? ვოცნებობ „ვოლგის“ ყიდვაზე, მაგრამ ფული არა მაქვს. აი, უმალესს რომ დავამთავრებ, ფულს შევგროვებ და ცოლს კარაკულჩიან ქურქს ვუყიდი. რა იცის ჩემმა სიმამრმა, ასეთი კეთილი აზრები რომ მიტრიალებს თავში, თორემ ერთ „ზომ-მოსკვირს“ მისც მიყიდდა. ბოლოს და ბოლოს, ამხელა კაცმა მოტოციკლით როდემდის უნდა ვიარო? ზოგიერთი სიმამრი უყურადღებოა, საქმე მართო ის ხომ არ არის, რომ ჩავაცვას, დავახუროს, გაჭამოს, ცოლ-შვილი შევიჩინო, სახარჯო ფული მოგცეს. ჩვენს დროში საქმელ-სასამელი ვის გაავიჯრებებს? მახსოვს, ცხონებული ბებიაჩემი მოიგონებდა ხოლმე: წითელ პარასკევს რომ გავთხოვდი, მამაჩემმა სედრაკამ, პირველი გილდის ვაჭარმა, ორი ქარავანსარაის პატრონმა, სიძეს საჩუქრად ფაიტონი უყიდა თავის ცხენებთანად. ეს კიდევ რა არის, მზითვეში „ვეფხისტყაოსნის“ ორი უნიკალური ხელნაწერი, ხუთასი თუმანი (ოქროთი), ნეჩადას არღანი, წითელი ხის კამოდი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ოქროს ლავამ-აჭარ-უნაგირი (თავისი უზანგით) ყირიმული თოფი, ქაშერის ნახები, შამ-აბასის ნაქონი ხმალი, ორი წისქვილი, ერთი ზარბაზანი და ექვსი უღელი ხარ-კამეჩი გამომატანაო. მართალია, შეუხედავი ქალი ვიყავი, ძნელი იყო ჩემი გათხოვება, მაგრამ თავზე ისეთი ლეჩაქ-ბასმიანი ჩიხტიკობი მეხურა, დარდიმანდ ყარა-ჩოხელებს სულ ელეთმელეთი მოსდიოდათ, შუბლზე ფირუზის იმოდენა ქინძისთავი შეკეთა, რომ ცხონებული პაპაჩემი დარჩო სულ იმ ქინძისთავს უყურებდაო. მერე რა ვიშნოვკის დაყენება ვიცოდი, რა ქადა-ნაუქის გამოცხობა! მახოხს ან დოს შექამადს რომ გავაკეთებდი, ჭამით ვერ გაძლებოდიო.

სიმართლე რომ თქვას კაცმა, არც ჩემი ცოლია დიდი შესახედავი: ცხვირი მაუზეროვით აზის, მაგრამ რას იზამ, შეუგნებელი სიმამრის გამო, ოჯახს ხომ არ დავანგრევ? მერე და რა ქალი გავუხადე! ჩემი სიმამრი რომ ძველი ადათ-წესების კაცი იყოს, კანონით გემი უნდა იყიდნა ჩემთვის. ჯანდაბას, „ვოლგა“ მიყიდოს და საკუთარი სახლი ამიშენოს. მე შენ გეტყვი, ფული არა აქვს თუ? იმხელა საწყობის გამგედ მუშაობს, შიგ ცხენი გაქენდება. მერე რა დეფიციტური საქონელი უწყვი! სანთლით რომ ეძებო მაღაზიებში, ვერ იშოვნი. მოდი და ამისთანა კაცს ჩაესიძე! ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, ამხანაგურ მშენებლობაში შევალ. რატომ უნდა ვითმინო ამ კომბინატორის ოჯახში ცხოვრება? „ვოლგა“ მიყიდა, თუ რა? სანამ ახალგაზრდა ვარ, მანამ მჭირდება მოვლა-პატრონობა, თორემ, როცა მიქელ-გაბრიელი გამოიძახებს, მაშინ მის ქონებას, როგორმე, მოუვლი!

თენგიზ პირველი

# ასი წლის უკვდავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა, მი!  
— გავიმარჯოს, პო!  
— როგორა ხარ, მი?  
— ცუდად, პო, ძალიან ცუდად: ამ ტელეფონმა სულ გამიმწარა სიცოცხლე. შესვლას არ გაცილის სახლში, მაშინვე გეტაკება სულთამხუთავით, მოგაყრის ყველაფერს ერთბაშად: „ბატონო ჩემო! დაგირეკა აპაკუნამ, 7 საათზე მოვა კიბუკიპა; თეატრში გაბიჭვით ბაბულოვ; ხვალ ჩიკლიკას დაბადების დღეა; ნარდინა ცოლს ირთავს; ესტატე ხარისხს იცავს; როგორ მოვიქცე, რა გადავცე, რას დავავლებთ?“

მოკლედ, პირდაპირ აუტანელია! ეს რა გატლექილი აპარატი მიდგას, რას აქეთებს კავშირგაბმულობა!

— მე უარეს დღეში ვარ, პო! მომეშალა ცხელი რძის ონკანი, გუშინ შევედი სახლში და გავგიჟდი: დილიდან უდენია რძეს, ჩასვლია მეზობლებს, ერთ-ერთს სულგარძელობა გამოუჩენია და მთავარი კვანძი ჩაუკეტავს. შემდეგ რძე გაცივებულა, აჭრილა. მთელი ბინა ხაჭოლქცეული დახვდა. ახლა რა ადგება დილით ექვს საათზე?

— ხაჭოსათვის?  
— არა, მი!  
— ნავაგის ჩასატანად?  
— არა, მი! თეატრის ბილეთების საყიდლოდ. დილის შვიდისთვის ხომ ერთ ცალსაც ვერ იშოვნი და თუ იშოვნე, ისიც იარუსებზე იქნება.

ნ. მ.

# მანქანების კატი

მამამ ადრე შეაჩვია  
მეგობრობას მანქანებთან:  
მანქანაში აძინებდა,  
არწევდა და აქანებდა.  
სამი წლისა უკვე იჭდა  
სათამაშო მანქანაზე,  
ტოლბიჭებში ბატონობდა,  
მისი იყო ცხრა ცა, ცხრა მზე...  
„ზამოროუცს“ ატარებდა  
თორმეტი წლის ბიჭუკილა,  
მალე მამამ სულ ახალი  
შინ „მოსკვირი“ მიუგელვა.  
ჩქარა ისიც შეუცვალა,  
„პოლდეაზე“ დასვა ხელდა,  
მერე „ვოლგა“ გაუჩინა,  
ძმებიცეში ასახელა.  
სულ რაღაცა მანქანებით  
შეძენილი მანქანები,  
ლამის ცაზე აიყვანოს  
გრილით და გაქანებით.  
საქვს მარჯვედ ატრიალებს,  
„ზიმი“ დაჰყავს ახლა ფრენით.  
საგამოცდო მანქანასთან  
ვერ გააწყო ვერაფერი...  
ჩაიჭრა და ჩაიფუკა,  
ჩაუფუშა მამას ფიქრი,  
დასვენება მოისურვა,  
დღეს მანქანით ზღვისკენ მიჰქრის.

ნოდარ შამანაძე

ნ. ნ. შირცხალაბასი




— რა აგვაკვია, შამ კატო, სამოსი მანეთი? ასე კვირად იაზონს არ გაუყიდაო მძროს ვერძი!  
— შენ მასწავლი იაზონას აგვაკვს? გუშინ გაყიდა შვიდ-შვიდ თუმანა!



— მარკალაშვილი მირიამაჲს და ა-  
 -ის სასულაში მიხდა ბალკინიანი.  
 — შე აკეთ, დღითი არ სწავლიდა ლ  
 — ამით ირქავისი?!

# საბარგო




ს ა ბ ა რ გ ო ავტობანანა ჯ ა -  
 -ის და ა-მის მოწვევა ავით გურგე-  
 -ნაშვილს ამ დღითი ასა ბოთლი ბენ-  
 -ზინი ჩაასა მანქანაში, თვითონ მხო-  
 -ლოდ ერთი ბოთლი არაკი იმყოფინა  
 ხანზე დასაყლობლად, საჭეს მიუჯდა  
 და მწებრბოლისაყენ გაფორინდა. სა-  
 მუშაოზე კი არ დაქარბებოდა, მთელი  
 ღამე რაიინის მკვიდრთი ემსახურებო-  
 და ხოლის გადაღებ-გადმოტანა და  
 ახლა უფროსითვის უნდა ჩაქარბე-  
 ბინა ერთი დასაქა ანგარბინი ამტკი-  
 რა მისი ბნალი იყო, გმირთა მოდინ-  
 ზე მოსახვედინა რომ მოტკიცელი  
 გამოუტყდა და მერე მისმა მანქანამ იმ-  
 ავე მოსახვედინა რომ შესახებნა-ის მო-  
 ტკიცელი? მეზარის კი რაბოილდე  
 თვალთ ვერ მოქარა ავითო.

— იქნებ არც იგა ვინმე ზედ? —  
 ისე სწრაფად მიკრებოდა ავითო, რომ  
 ამ შეკითხვამ პეივისს უკან ჩაიჭირო-  
 და პავლურზე გადახვეთა. სასურ-  
 თლის მსაივისს ერთ-ერთი სამწებრ-  
 ბო უბნის მიყრდენულ კუთხეში, სხვა  
 საბარგო მანქანებს შორის, ჩააცენა  
 თავისი მანქანა ავითო. კოლეგები ჯერ  
 არ იყვნენ მოსულნი. იქნებ, ავითოს  
 მანქანაზე მთელი ღამე აქ იდგა?



დაუმიჯნებელი შენობის მესამე  
 სართულზე ავიდა და მიმავალი ბი-  
 ნის მიმასა სასწოლო თიანში წაშო-  
 ვდა, რათა არაკი ცოტათი მაინც გამო-  
 ნებულბოდა. ამდღობა დემერის, გასა-  
 მდა, — ფოტოზედ ავითო, თუცა  
 უკვე მეექვსედ მოსლიდა ავითა. ეს  
 სიმთვრადის ბნალი იყო, ვეღაღფე  
 რა თრჯერ ნაკლები ეჩვენებოდა. ან-  
 გარიზის ჩაბანარბებდა ზომ ისედაც  
 უნდა შეეღებდ მწებრბოლის უფროს-  
 თან? არც ბერებზე დიდებდა უფ-  
 რონი, ავითო დროს იბეღებდა, ვეღა-  
 ფერში გამტრბედა და თბობს, დაუ-  
 რგოლის თავის მშას, რომელსაც პარდა-  
 პირი ესება ავითის ამბები. უკვე ზუთ-  
 ჯერ სუფთად გამოიყენა უფროსის  
 მშამ ავითო, წვილ-წვილი შემთხვე-  
 ვები კი იყო, მაგრამ ერთად 20 წელ-  
 მდე მაინც დამსხვილებოდა, „მარგე  
 25-მდე აიგენდა და მოეფეხები, —  
 ფოტოზედ ავითო, — ერთი მაქარი-  
 რი დამეჭირებდა ამ დღებში...“

მწებრბოლის უფროსი მანქანის  
 მძღობებს უფრო ხშირად უცვლიდა  
 სხვა მწებრბოლის უფროსებს, ვიდრე  
 მწებრბოლის გამოციდილებას, ავითოს



კი არ იმორჩედა, შეთვლით უფერ-  
 და აქ შეიღებდა დღემწერს, „ფერა-  
 გუნ ხდებოდა, რამე იყო საჭმე?, მაგ-  
 რამ საჭმე ის არის, რომ ვეღლა ხედა-  
 ბოდა...“

ჩაიხატა კი არ ავითოსაგან სუფ-  
 რისა ერთი დასაქა ანგარბინი, ჯიბი-  
 დან ხელი ამბოლი და დმილი გაქე-  
 რა.  
 — რა მოქდა, კიდევ დაარტყე!  
 — გმირთა მოდინზე. — უკას-  
 ხა ავითო და ვეღაღფერი უამბო, —  
 მაგრამ ჩემი ბნალი არ იყო!  
 — ვუ დიდი ხანია ვიცი... შენ ეს  
 მითხარე, მძიმე შემთხვევა?  
 — არც ისე, მძღობი მფირი არც  
 იჯდა ზედ!  
 — ჰოო... მუხუბე შემთხვევა ყო-  
 ფილა, ისეთი მუხუბე, რომ მძღობი  
 გაფრინოდა და თვალთ ვეღარ მოეგ-  
 რებავს, უბნის პირდაპირ მივიდეთ,  
 დარტყე ამ დღის...  
 მაგრამ არც სამსახურში აღმოჩინდა  
 მწებრბოლის უფროსის მშამ, არც პო-  
 სტზე, არც შინ, მთელ კლასში არ-  
 სად აღმოჩინდა... „სასწრაფოდ დამა-  
 გრების“ საავადმყოფოს გარდა.



— თუ მშა ხარ, „როლა“ მათობში  
 — „როლა“, ფოტოპარას, საბარგო მანქანას, წვერსა-  
 პარის, მკვიდრს, სარგის მანქანას, სასასარბა და უფს ნუ  
 მითხვ ეს სხვა, რაც ბინდა, მთომე, ჩემი თავი მანქანაზე...

— ავითო, სასდ დაარტყე? —  
 ძლიერ გასაყინად წაირორბოდა ავა-  
 დმყოფმა.  
 — გმირთა მოდინზე-ვე, — ისევ  
 ავითობდა ავითო.  
 — მომადოდე ურბილი, — თქვა  
 ავადმყოფმა და თვადები ნებაჩი  
 ცრებრბობი ავითო.  
 „მხოლოდ სვეთუ... სველილის  
 უქანასეულ წუთამდე მხოლოდ სვე-  
 თუ...“ ფოტოზედ პირი ტვირის სა-  
 ტუქა... ამდღევ დარტყე სულფორდ  
 და დაარტყენს, ცოტეში ამბობლ-  
 ბინებს, ყურბობის დასყდა და დარე-  
 კა არ შეეღებდა. დასყდა, არ შეეღო-  
 თა. რეყავდა გამმავლონი, თანდთან  
 ცოფდებოდა... „რაც ეს უქანასე ნო-  
 მრები შემოვიდა, ზომ დარტყე შეუ-  
 ლებელი გახდა!“, — ფოტოზედ მი-  
 ცდამიზე ზუსტად ანასტრფიერს და-  
 რეკა. უფროსი ჩაიჭიროდა ზაბრბის საამბო,  
 მაქროფის უქანაში ცოფდა მხო-  
 ლოდ ცტობდა, საიჭიროსა და საკავის  
 შორის მწებრბოლის ცუცხველითო... „სა-  
 ნამ ამ ავადმყოფი კლასს წავუბინებე“.  
 — გაიფოტრა მან.  
 და წავუბინა.  
 ირმაბა ალზაინი.



ს. ა. ღვინჯაშვილი



— ახლა მოგამიხარებ თქვენს დღევანდელ  
 შრომითი მაჩვენებლებზე!  
 — რა მაჩვენებლები მქონებო, დილიდან მისა-  
 ხიბი, არ მაჩვენებ, ბილაბითო?!



— მანქანა მთლიანად მირ ავადმყოფმა, მან-  
 — იმის სხვადას და ანთხდა, ვინ მაჩვენებს  
 — დარტყე მთლიანად, რა, რაღა მამოწყობინებს  
 — მამოწყობინებს



— მხოლოდ თქვენსავე მშენებლობის  
 — ლტოლნი მაჩვენებენ, რომელიც  
 — მისაღობს რამე ჩაქარბინი, რაღა მანქანა?!

# საგარაკო სიუჟ-ცხენება

ზაფხულის პაპანაქება  
შევიდა თავის ძალაში;  
ყველა ჩრდილს ეძებს, მე ვცდილობ.  
მზემ ჩამცხოს თავის ქალაში.

ნამდვილად შევეწირები  
საგარაკო საზრუნავს,  
ან გადავყვები საგზურებს,  
ან — თანხა-სახსარ-საბრუნავს...

ექვსი სული ვართ ოჯახში,  
სიღებრ-სიმამრის ჩათვლითა.  
(სიღებრი შტატით მეკუთვნის,  
სიმამრს ვინახავ ხათრითა).

ყველა საგზურს მთხოვს და ყველა  
ცალ-ცალკე შექმას მიპირებს:  
ცოლი ბახმაროს უმიზნებს,  
შვილი — შოვს, რძალი —  
ზღვისპირეთს.

სიმამრი — ალპებს... თითქოს და  
აქ იყოს, ოქროყანაში.  
სიღებრი უფრო შორს მიდის, —  
მიიქაჩება ვარსაში.

შინ, რა თქმა უნდა, მე ვრჩები.  
(უჩემოდ წყვეტენ ამ საკითხს),  
ალბათ, ჭერ კიდევ არა ვარ  
საგარაკო ასაკის.

რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,  
რა მოვახერხო, რა ვცადო?  
ლამის ოჯახში სააღყო  
წესები გამოვაცხადო.

დაე, აქ დარჩენ თბილისში,  
ან — ახლომახლო ნაძვანარში,  
ერთ ქოხს მეც ჩავდამ და ყველას  
შევრეკავ, როგორც ნაკრძალში.

აქაც კარგია მადისთვის  
წყნეთის და კოჯრის ნიავი,  
თბილისის ზღვის და სამგორის  
თუთა, ბალი და ქლიავი...

კუს და ლისის ტბის კლიმატი,  
სიო მტკვრისა და არაგვის,  
ჩვენში მზე ყველგან ერთია,  
სოფლისაა თუ ქალაქის.

მე თავს ქალაქშიც კარგად ვგრძნობ,  
მეყო, რაც დღემდე გადამხდა.  
თბილისი უცხოის იზიდავს  
და შინაური რა გახდა?

პრიგოლ ჩიქვილაძე

# ლაზიერის გამოყენება



ტელეფონი აწკრიალდა...

— გისმენთ!

— საზოგადოებიდან გაწუხებთ! ინსტიტუტი  
„გალაქტიკა“ ჰადრაქში ლექციას ითხოვს!

ავიდე საგზური. იგი, რასაკვირველია, ჩვეუ-  
ლებრივი იყო, მხოლოდ ლექციის დასახელება  
ქდებდა არაბუნებრივად — „ლაზიერის გა-  
მოყენება“. ვერც ჰადრაქის ცოდნა და  
ვერც ორიგინალობა დავწამე მის ავტორს.

დანიშნულ დღეს ინსტიტუტში მივედი. კან-  
ცელარიაში მაღალი და სუსტი გოგონა ტელე-  
ფონით თავისი სულის ტრაგედიას უზიარებდა  
მეგობარს: „ეს რომ თქვა, გავფითრდი. ვუთხარი,  
დეგენერატი, მხეცი იყავი და დარჩები-მეთქი.  
წარმოგიდგენია, ზიზი? წუხელ მთელი ღამე არ  
მეძინა!“.

ძალიან შემეცოდა გოგონა, მაგრამ რა უნდა  
მექნა? კაბა, რასაკვირველია, მუხლზემთ ორი  
ხელის დადებაზე მოკლე ეცვა. თვალები ძლივს  
მოვწყვიტე, ვითომც გულგრილად გვერდზე გა-  
ვიხედე და ვიკითხე:

— ვაშაძე სად შეიძლება ვნახო?

— ჰამლეტოვიჩი? ოცდამეოთხეში! — რო-  
გორც იქნა, მაღირსა პასუხი და ბრიალა შავი  
თვალებით ჩამათვლიერა.

„ოთხიანს უყოყმანოდ დავუწერდი!“ — გავი-  
ფიქრე, რადგან ქალების სილამაზეს ხუთბალიანი  
სისტემით ვფასებ.

ოცდამეოთხეში ვაშაძე მართლაც ვიპოვე. ჭი-  
რკივით კაცი იყო. კარტოფილივით ცხვირი და  
ნიკაპი ჰქონდა.

— ლექციის ჩასატარებლად გამოგზავნეს, —  
მორიდებულად მოგახსენე.

— აჰ, რატინი, არა? კეთილი და პატიოსა-  
ნი! — აღტაცებით წამოიძახა მან. ხელი მაგრად  
ჩამომართვა, მხარზე დამკრა კიდევ. მეგონა,  
გადამხვევოდა, მაგრამ ამჯერად — არა. შემდეგ  
იქვე ახლო ოთახში მყოფთ შეუძახა: „აქვსენტი,  
გიორგი.. ლექცია გვაქვს, ხალხი არ დააკლ-  
დეს!“

— სულ ლექცია, თათბირი... როდის ვიმუ-  
შაოთ?! — გაისმა პასუხად.

— თუ შეიძლება, ენა დაიმოკლეთ! — იყვირა  
ჰამლეტოვიჩმა და ისევ მე მომიბრუნდა:

— რა წოდება გაქვთ?

— კანდიდატი.

— ასე ახალგაზრდა და კანდიდატი? კეთილი  
და პატიოსანი... ხუთი წუთში დავიწყებთ... ხუთ  
წუთში. მომადახა და გაიქცა. თითქოს გორგო-  
ლაქებზე იდგა, ისე მიგორავდა.

დერეფანში კედლის გაზეთი „მარსი“ ეკი-  
და. ნომერი, რასაკვირველია, იმასთან დაკავში-  
რებით გამოეშვათ, რომ სამინისტრომ ინსტი-

ტუტს კარგი მუშაობისათვის მადლობა უწოდებდა.  
ხდა. ავტორები ირწმუნებოდნენ, ამ გამოგზა-  
ფრთები შეგვასხა და მომავალში გაასკ კვებულ  
ენერგიით ვიმუშავებთო. უმცროსი მეცნიერი  
მუშაკი ცოტაძე თავის წერილში მორცხვად წე-  
რდა: „ამ ღირსშესანიშნავ ფაქტთან დაკავში-  
რებით ცოტა პრემიას რომ მოგვეცემდნენ, კარგი  
იქნებოდა“.

ცოტა ხნის შემდეგ ჰამლეტოვიჩის ქუხილი შე-  
მოქმედა, — ვილაცას ლექციაზე დასწრებას აძა-  
ლებდა.

— ლატარიაში მერგო, სულ მე უნდა დავე-  
წრო?! — წუწუნებდა უცნობი.

ხუთ წუთში არა და ერთ საათში კი დაიწყო  
ლექცია. ოც კაცზე მეტი მაინც ვერ მოგროვდა.  
საუბარი მშვიდად დავიწყე:

— შემომჩნევია, სუსტი მოჭადრაკეები, სხვა  
ფიგურებზე აღრე, ლაზიერს ჩაბამენ ხოლმე თა-  
მაში, რაც დიდი შეცდომაა. სად გინახავთ, მთა-  
ვარსარდალი პირველი ემბემოდეს ბრძოლაში?  
ეს სახიფათოა. საჭადრაკო არმიის მთავარსარ-  
დალი ლაზიერია. ამიტომ იგი სათუთი მოპურო-  
ბის ღირსია, — გრძობამორევით განვგრძობ-  
დი მე. გულის სიღრმეში მომწონდა ის, რა-

საც ვამბობდი. მაგრამ უცებ უცნაური რამ მოხ-  
და: ჭერ ჩურჩული შემომესმა. ჩურჩული მაღე  
ხმაურში გადაიზარდა. ყველაზე მოულოდნელი  
მაინც ის იყო, რომ ჰამლეტოვიჩის ისეთი სიცი-  
ლი აუტყდა, მეგონა, სკამიდან გადმოვარდებო-  
და. სიტყვა შემაშრა პირზე. ჰამლეტოვიჩმა შე-  
ხედა თუ არა ჩემს აჭარბებულ სახეს, მოვიდა:

— დამოცვილო, თუ მოჭადრაკე იყავი, ვერა  
თქვი?

— მაშ, ვინ უნდა ვიყო?! — სულ დავიბენი მე.

— შეცდომა მოხდა: ჩვენ ფიზიკაში ლაზიერის  
სხივების გამოყენებაზე ვითხოვეთ ლექცია...

ახლა უკვე სხვებთან ერთად მეც ვიციანოდი.  
კარგა ხნის შემდეგ ჰამლეტოვიჩმა მითხრა:

— ვნახოთ, ბატონო, რა მოჭადრაკეც ბრძან-  
დებით, ვნახოთ!

დერეფნის ბოლო ოთახში შევედი. ორნი ჰა-  
დრაქს თამაშობდნენ. შეშინებულები წამოხტ-  
ნენ.

— ოხრებო, მე ვარ, გული არ გაგისკდეთ! —  
დაამშვიდა ჰამლეტოვიჩმა, რომელიც ჰადრაქის  
თავგამოდებული ტრფიალი აღმოჩნდა.

რამდენიმე წუთში ოთახი გულშემატკივრებით  
გავისო.

არამკითხე მრჩეველებმა მოსვენება წავგარ-  
თვეს.

— მომცილდით, თორემ ლექციას დავნიშნავ!  
— ღრიალებდა ჰამლეტოვიჩი...

თაბაგა კიკიანი

ნახ. ი. ქოქიაშვილი



— ვმღს ორი მოსაგალი ავიღე. ეს საჯამთრო  
ხომ სჯჯამთროა, შემსაც სჯჯამთროა!

# კაეპანი

არავისათვის საიდუმლო არ არის ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთში ბევრი შერიფი და პოლიციელი კუ-კლუქს-კლანელია.  
გაზეთიჯიდან

**უმიზიზოდ** შეიძლება გალანძლო და, სიტყვა თუ შეგიბრუნა, ქანჭიყვით მოხსნა ხელქვეითი, უმიზიზოდ შეიძლება დათვრე და შენს უნიჭო უფროსს სულ არისტოტელე და აინშტაინი უძახო, მაგრამ პაემანზე მისვლა თუ შეიძლებოდა უმიზიზოდ, არ მეგონა...

რუსთაველის პროსპექტზე, იქ, სადაც ქართული ასოებით „ბორჯომი“ წერია და უფრო ხშირად „ზვარეს“ ჰყიდიან, იგი იდგა და ვილაცას ელოდა. „ვილაცა“ არ ჩანდა. ჩანდა მხოლოდ ქალიშვილი, რომელიც ვილაცას ელოდა და მე, რომელიც არავის ეელოდი, მაგრამ მაინც ვიდექი...

ქალიშვილი მაღალი იყო. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი რომ ცმოდა, უფრო მაღალი გამოჩნდებოდა, მაგრამ მას, რატომღაც, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

— ღმერთო! შემთხვევით მე ხომ არ მელოდება?! — კინალამ შევეკითხე ღმერთს, მაგრამ დროზე გამახსენდა, რომ არც მსგავსი და, შით უმეტეს, ეს ქალიშვილი ადრე არ მენახა და დღეს რომ არა, ალბათ, ვერც უახლოეს მომავალში ვნახავდი. ის იყო, ჩემს ლოგიკურ სისულელეზე უნდა გამეცინა, რომ ქალიშვილმა ფიქრო ტენისა და კბილებსუა ამაცალა, ამაცალა და... ჩაიღიმია.

ტუჩებზე ისეთმა ფერმა გადაჰკრა ახალმოკრევილ მარწყვს შეშურდებოდა...

თვალეები ჩემდაუკითხავად გაიქცნენ მასთან. მე ფეხი არ მომიცვლია. ქალიშვილმა ჩემი მზერა დაიჭირა და, თითქოს მისი ყოფილიყოს, აღარ გამოუშვა.

— თვალეები დამიბრუნე, თორემ დავბრმავდები — შევაცოდე თავი.

— შორჩა, აწი ჩემია! — გამოასხვია ცალი თეალით პასუხი და თავი ჩაიღუნა, მეტი არაფერი მითხრასო.

სიყვარული მეხივით დაეცა გულს, თუმცა ადეთქების ხმა, ფილტვების გარდა, არავის გაუგონია. მერე ფეხებმა საქანელასავით გამაქანა მისკენ...

ახლო, სულ ახლო მივედი, ისე ახლო, რომ საჩვენებელი თითით მისი ნიკაპის აწვეაც კი შემეძლო. ის მწყერავით აიბუზა, მე ქორივით ვაპირებდი მის ატაცებას...

გამარჯობათ-მეთქი, ხმააღლა უნდა მეთქვა, მაგრამ ენა მზესუმზირასავით გავკვნიტე. სახლში საგანგებოდ დატოვებული ჩემი მეუღლე მწარე ღიმილით გვიახლოვდებოდა...

ზაზა კაციხაშვილი



ნ. გ. ლომიძისა

— კოლიცია!.. კოლიცია!..  
- კოლიცია ვარ, კაპ, ვინა ვარ?!

## გერმანული იუმორი

### სიჯიუტა

ახალგაზრდობაში ლიტერატორი კლაბუნდი ბევრ სიძნელეს აწყდებოდა, რათა თავისი პირველი ნაწარმოებები დაეხეჭდა. როგორც იქნა, შეადგინა ბერლინის ერთ-ერთი მსხვილი გაზეთის დირექტორთან, რომელიც ამ სიტყვებით შეეგება:

— ბედნიერი ხართ, ჭაბუკო! დღეს თქვენს თორმეტ კოლეგას ვუთხარი უარი მიღებაზე!

— ეს ბედნიერება იმდენად არაა, რამდენადაც სიჯიუტე! — უპასუხა კლაბუნდმა, — ყველა ის თორმეტივე კოლეგა მე გახლდით!

### ბანკირის ბუნება

ჰაინი ასე ამბობდა თავის ბანკირ ბიძაზე: დედაჩემს მხატვრული ლიტერატურა უყვარდა და მე პოეტი გამოვედი, ბეზიაჩემი კი „უჩაჩაღ კარტუშის მოგზაურობით“ იყო. გატაცებული და ბიძაჩემიც ბანკირი გამოვიდა.

### გაუგებარი უკმაყოფილება

— მართლაც ვერ გამიგია, რატომ ჩვიან ეს მუშები? — თქვა ერთმა იტალიელმა მრეწველმა, — წინათ დღეში 16 საათს მუშაობდნენ და არ მოსწონდათ, ახლა კვირაში მუშაობენ 16 საათს და მაინც არ მოსწონთ!

თარგმნა ლია ჭავჭავაძემ.



ნ. ს. სინსარულიძისა



— სადა ხარ, ქალო, ადმენ ხანს?!

თბილისი  
ნიანგი

მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:  
\* გოლჭავაძე (პ/მ. მღვივანი),  
ს. კლდიაშვილი,  
ნ. მაღალაშვილი,  
ბ. ნიუნინიძე,  
(მთავ. რედ. მოადგილე),  
ნ. ფველიძე,  
ო. ჭილიძე.

სატირისა და იუმორის შუბნული „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.

რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32, საერთო განყოფილების 93-10-78.

თბილისი, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“.

სამ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 12/VII 1968 წ. ქალ. ზომა 70x108/8 1 ნაბ. ფურც. 14. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 1. პირობით ფორმატა რაოდ. 2. სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის აკომპიანატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ფიკვ. № 2516. ში 02349. ბირაჟი 90.300.

KORT...  
466  
96...

1  
1968

ქართული  
ბიბლიოთეკა  
ИНДЕКС 76137

„საგანგებო კანონები“, რომელიც ამას წინათ დაამტკიცა ბონის  
პარლამენტმა, გზას უხსნის დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმს რე-  
ვანუსიკენ.

გაზეთი „გაზეთი“



ს. ა. ლომიძე